საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის

მეურნეობის მინისტრს

ბ-ნ ოთარ შამუგიას

შპს ვასაძის ჩაის(237094032) დირექტორი

მერაბ ვასაძის (33001005109)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ოთარ, გვსურს მოგმართოთ თხოვნით, გაგვიწიოთ დახმარება წყლის ზედაპირული მოპოვების სკრინინგში, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფ. ნასაკირალში.

ჩვენ წარმოვადგენთ შპს ვასაძის ჩაის, რომელიც უკვე მეორე წელია აქტიურად არის ჩართული მოცვის გაშენებისა და განვითარების პროექტში. სადაც ასევე არის თქვენი სამინისტროს ჩართულობა, რადგან ჩვენი პროექტი განხორციელებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აწარმოე საქართველოში" პროექტით. ჩვენი ჩართულობითა და თქვენი დახმარებით უკვე გაშენებული გვაქვს 5 ჰა მიწის ფართობზე მოცვის პლანტაცია, რომლის გაფართოებასაც ვგეგმავთ მომავალში.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ ტერიტორიის განვითარების შენარჩუნება, რომელიც დავიწყეთ სამინისტროს დახმარებით. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არ გავჩერდეთ და მაქსიმალურად სახელმწიფოსთან ერთად შევქმნათ და გავაჩინოთ სტაბილური სამუშაო ადგილები.

წყალი, ჩვენი კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ შეძლოს სრულფასოვნად ფუნქციონირება და იმ გეგმების შესრულება, რომელიც დაგვეგმეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. მოგეხსენებათ, მოცვი არის მცენარე, რომელსაც სჭირდება მუდმივად წყლის მიწოდება, რომ შეძლოს იმ ნაყოფის წარმოქმნა, რაც როგორც ჩვენთვის ასევე, სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია.

იმედი გვაქვს, გაითვალისწინებთ ჩვენს ზემოთ ხსენებულ საკითხებსა და არგუმენტებს და დაგვეხმარებით წყლის ზედაპირული მოპოვების ნებართვის აღებაში.

მიმაგრებული ფაილით გიგზავნით დოკუმენტაციასა და წერილებს.

პატივისცემით,

მერაბ ვასაძე

შპს ვასაძის ჩაის დირექტორი

საკონტაქტო პირი: მერაბ ვასაძე 599 98 77 75

ქ.ზ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11416
06.05.2022
1/2003
02